ხელმძღვანელი : პროფესორი ნათელა წიკლაშვილი

1. **სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა**

1.1. **კვლევითი პროექტის დასახელება** - მცირე და საშუალო ბიზნესში ცირკულარული ბიზნესის მოდელების გამოყენების გამოწვევები და მათი დაძლევის გზები (საქართველოს მაგალითზე)

1.2. **კვლევის სიახლე და აქტუალურობა** -

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა თუ ეკოლოგიურმა კრიზისებმა ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციული პროცესები და ბიზნეს მოდელები. აშკარა გახდა, რომ არსებული ცვლილებების ფონზე, გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც რესურსების ეფექტიანად გამოყენებისკენ იქნება მიმართული. ცირკულარული ბიზნეს მოდელების დანერგვა კი ფირმებს სთავაზობს აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზას. ის განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება მცირე და საშუალო ფირმებისთვის, რადგანაც მისი დანერგვით ისინი შეძლებენ შეამცირონ ნედლ მასალებზე მოთხოვნა/დამოკიდებულება, გადავიდნენ წარმოების ახალ, მეტად ეფექტურ ხერხებზე და გაზარდონ პროდუქტების სასიცოცხლო ციკლი.

წინამდებარე კვლევის აქტუალურობა განპირობებული იმითაც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესშია დასაქმებული ქვეყნის მოსახლეობის 60%-მდე, რაც კიდევ უფრო მეტად საჭიროს ხდის მისი მდგრადობის შენარჩუნების გზების ძიებას.

კვლევის სიახლე: კვლევა აანალიზებს და წარმოაჩენს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში ცირკულარული მოდელების დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მისი განვითარების პერსპექტივებს. საკითხის სიახლიდან გამომდინარე ჯერ კიდევ არ არსებობს ისეთი ნაშრომი, რომელშიც აღნიშნული თემა სისტემურადაა შესწავლილი საქართველოს რეალობისთვის. უცხოური და ქართული პრაქტიკის შესწავლის შემდეგ კი, შემუშავდება რეკომენდაციები.

კვლევის აქტუალურობა:

საკანონმდებლო რეგულაციები - სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველწლიურად ამკაცრებენ კანონმდებლობას, რომელიც ბუნების დაცვისა და მდგრადობის შენარჩუნებისკენაა მიმართული. ცირკულარული ბიზნეს მოდელების დანერგვით მცირე და საშუალო ბიზნესები არა მხოლოდ თანხვედრაში მოდიან არსებულ კანონმდებლობასთან, არამედ შესაძლებლობა ეძლევათ მარტივად ადაპტირდნენ შესაძლო ცვლილებებთან.

ბრენდის ღირებულების ზრდა - ფირმები, რომლებიც ცირკულარულ ბიზნეს მოდელს იყენებენ, მომხმარებლის მიერ აღიქმებიან უფრო პასუხისმგებლიანად და მარტივად მოიპოვებენ მათ ნდობას.

ინოვაცია - ბიზნესი კონცენტრირებულია გამუდმებით ეძიოს საქონლის წარმოების, გასაღების, მისი ღირებულების შენარჩუნებისა და ზრდის გზები, რაც ზრდის ბიზნესის, მომხმარებლისა და ქვეყნის კეთილდღეობას.

მგდრადობა - ცირკულარობის პრინციპების გამოყენება, ხშირად, გულისხმობს გადამუშავებული, შედარებით იაფი წარმოების პროდუქტები გამოყენებას, კაპიტალის გაზიარებას ფირმებს შორის, საქონლის ხელახალ გამოყენებას და სხვა. ეს კი ზრდის ბიზნესების სიცოცხლისუნარიანობას.

1.3. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია -

მიზანი:

კვლევის მთავარი მიზანია გამოავლინოს საქართველოში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესებში ცირკულარული ბიზნეს მოდელების დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები და მისი განვითარების პერსპექტივები.

ამოცანები:

დასახული მიზნის მისაღწევად, გადაიჭრება შემდეგი ამოცანები:

- ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, ცირკულარული ბიზნეს მოდელების არსის უკეთ გაგებისა და არსებული/მომავალი ტენდენციების გამოსავლენად.
- საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული საუკეთესო პრაქტიკების განხილვა იმ დარგებისა და მოდელების ინდენტიფიცირებისთვის, რომელიც ოპტიმალურია ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის.
- მცირე და საშუალო ბიზნესთან კვლევის ჩატარება, ფირმებში არსებული პრობლემების გაანალიზებისა და ცირკულარული ბიზნეს მოდელებზე გადასვლის შესაძლებობების შესასწავლად.

მეთოდოლოგია:

კვლევაში გამოყენებული იქნება როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. აღნიშნული მეთოდების გაერთიანება საშუალებას მოგვცემს სიღრმისეულად შევისწავლოთ საკვლევი თემა. მათ შორის, კონტენტ ანალიზი, გამოკითხვა და სიღრმისეული ინტერვიუ.